ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 268

"16" აგვისტო 2016 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №81.02.13.658) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" მე-40 მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2016 წლის 31 მაისის №26 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 12 აგვისტოს №04/15074 წერილის (AR1407243) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ქ. თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №81.02.13.658) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1407243 განაცხადის შესაბამისად (იხ. თანდართული უფლებრივი ზონირების რუკა).

2.აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი



შენიშვნა:
შესაძლოა დაემატოს ტექნიკური ხასიათის სართულები
მითითებული სართლიანობა განსაზღვრავს მხოლოდ
მინისზედა და მინის პირა სართულებს.
მოცემული მინის ნაკეთის რთული რელიეფიდან
გამომდინარე შესაძლოა გაჩნდეს მინისქვეშა სართულებიც

პროექტის სათაური	ნახაზის დასახელება და მაშტაბი	თანამდებობა	ხელმოწერა	პირობითი აღნიშვნები
ოქროყანის მიმდებარე ტერიტორიაზე ტიპიური სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმა	განაშენიანების რეგულირების გეგმა	მთ. არქიტექტორი		
	მ: 1.500	არქიტექტორი		